

მაყვალა მჭედლიძე

ბოსტნეული კულტურების თესლის
ვიბრაციული კომბინირებული
დამხარისხებელი დანადგარის
დამუშავება

თბილისი 2008

მონოგრაფიაში განხილულია ბოსტნეული კულტურების თესლის დახარისხების ახალი ტექნოლოგიური პროცესის დამუშავება ვიბრაციის და მაღალი ძაბვის ელექტრული ველის კომბინაციის გამოყენებით; მოცემულია ელექტრომაგნიტური, ელექტრომექანიკური ვიბროამპრავისა და მაღალი ძაბვის ელექტრულ ველში დამხარისხებელი დანადგარები, რომელთა საშუალებითაც წარმოებს თესლის ორჯერადი დახარისხება. სათესლე მასალის გაწმენდა-დახარისხების ასეთი ტექნოლოგიური პროცესის გამოყენებით, ვიბრაციული ბუნკერით დახარისხებული თესლის დახარისხების სიზუსტე კიდევ (10-15)%-ით იზრდება. დახარისხებასთან ერთად ელექტრული ველის ზემოქმედებით ხდება თესლის ბიოლოგიური თვისებების გაზრდა.

ექსპერიმენტის სახით შექმნილი დამხარისხებელი დანადგარები, მცირე გაბარიტებისაა. იგი მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს წერილფერმერულ და გლეხურ მეურნეობებს ხედასხვა ბოსტნეული კულტურების მაღალხარისხიანი თესლის მიღებისა და მის საფუძველზე უხვი მოსავლის მოყვანის საქმეში.

რედაქტორი:

რობინზონ ქსოველი
ტექნიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

დარეინ ორმოცაძე
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ლასიკო მაისაშვილი
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ნოდარ ნარიშანიძე
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ISBN 5-89512-214-5

საქართველოს ილღა ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო კულტურულ საგანაშენაილებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“.

შესავალი

მეზოსტენობას საქართველოს სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. სოფლის მეურნეობის ამ კერძო სექტორის წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნილებები ყოველდღიურად მატულობს, ვინაიდან ბოსტნეული ადამიანის კვების რაციონის ერთერთი აუცილებელი კომპონენტია; შეიქმნა ბოსტნეული კულტურების მოსაველიანობის გაზრდის აუცილებლობა, რისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის მიღწევების და მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას და მათ დანერგვას ადგილობრივ გლეხურ და ფერმერულ მეურნეობაში. აუცილებელი გახდა მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის პროგრესული აგროტექნიკის გამოყენება.

ბოსტნეული კულტურების მოსაველიანობის გაზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია სათესლე მასალის ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც საჭიროა გამოყენებულ იქნას სრულყოფილი დამხარისხებელი დანადგარები, თესლის სტიმიულაციის ელექტროფიზიკური მეთოდები და სხვა.

ჩვენს ქვეყანაში გატარებული აგრარული რეფორმის შემდეგ სოფლად შექმნილი გლეხური და წვრილფერმერული მეურნეობებისათვის ძნელად ხელმისაწვდომი გახდა საკმაოდ დიდი გაბარიტების მქონე დამხარისხებელი საშუალებებით სარგებლობა; არსებული ვიბრომექანიკური და ჰაერის ნაკადის მოქმედების კომბინაციით მომუშავე, ელექტრომაგნიტური, ელექტრული ველით დამხარისხებელი მანქანები და აგრეთვე ხელით შრომის გამოყენებაც ვერ პასუხობენ თანამედროვე ტექნიკურ ეკონომიკურ და სასურველი კონდიციის მქონე თესლის მიღების მოთხოვნებს. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდ როლს თამაშობს საწარმოო პროცესების მექანიზაცია, ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების მწარმოებლობის, ეკონომიკურობის და საიმედოობის გაზრდა; საჭიროა ახალი ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება და ისეთი მოწყობილობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ

ოპტიმალური ტექნოლოგიური პროცესების შესრულებას.

ყველასთვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დათესვის წინ სათესლე მასალის წინასწარ მომზადებას. არსებული თესვგამწმენდი ტექნიკური საშუალებანი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ თესლის დაყვანას სასურველ კონდიციამდე. ხშირად საჭირო ხდება გაუმჯობესებული იქნას სათესლე მასალის ხარისხობრივი მანუშენებლები. როგორცაა: აღმოცენების უნარი, გაღივების ენერჯია, აბსოლუტური მასა გრამებში და ა.შ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზნად დავისახეთ სათესლე მასალების ხარისხის გაუმჯობესების ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, მცირე გაბარიტების, კომპაქტური და იოლად გადასატანი დამხარისხებლების შექმნა. ვფიქრობთ, რომ ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელი გახდება სათესლე მასალის კომბინირებული - ვიბრაციული და მაღალი ძაბვის ელექტრული ველით დახარისხების მეთოდის გამოყენებით [93];

ვიბრაციული მეთოდების გამოყენებისას თესლი ხარისხდება გეომეტრიული ზომების მიხედვით, ხოლო შემდგომ ეტაპზე, ელექტრული ველის გამოყენებით - კუთრი წონის მიხედვით.

ელექტრული ველის მოქმედების შედეგად თესლიდან გამოიყოფა გარეშე მინარეები, შემუშავებული და წერილი მარცვლები, რომლებიც ამცირებენ თესლის კონდიციას [61].

აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ დამუშავებული და ექსპერიმენტის სახით დამზადებული მცირეგაბარიტებიანი კომბინირებული დანადგარები საშუალებას გვაძლევენ დასახარისხებელი სათესლე მასალიდან გამოვყოთ მაღალხარისხოვანი თესლი, რაც მოსავლიანობის ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების აუცილებელი ფაქტორი იქნება.

თავი 1. ბოსტნეული კულტურების თესლის დამხარისხებელი დანადგარების თეორიული და კონსტრუქციული გადაწყვეტა

ბოსტნეული კულტურების სათესლე მასალის დახარისხების პროცესის შესწავლისა და ანალიზის შედეგად დამუშავდა ელექტრომაგნიტური, ელექტრომექანიკური ვიბრაციული და მაღალი ძაბვის ელექტრული ველით დამხარისხებელი დანადგარების თეორიული და კონსტრუქციული მასალები. შეიქმნა მათი ლაბორატორიული საცდელი ნიმუშები; ჩატარდა სხვადასხვა ბოსტნეული კულტურების თესლის დახარისხების ფართო ექსპერიმენტები, როგორც ცალკეულ ელექტრომექანიკურ და ელექტრომაგნიტურ ვიბრაციულ დამხარისხებლებზე, ისე კომბინირებულ დანადგარებზე, რომელიც ითვალისწინებდა ერთდროულ დახარისხებას ვიბრაციული და ელექტროგვირგვინის გამოყენებით. ექსპერიმენტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ თესლის ორჯერადი დამხარისხებელი დანადგარი საშუალებას იძლევა ვიბრობუნკერით დახარისხებული თესლის დახარისხება კიდევ 10-15 % - ით გაიზარდოს. მეცნიერული სიახლის თვალსაზრისით შეიქმნა ელექტრომაგნიტური ვიბროამგზნებით მომუშავე ვიბრაციული ბუნკერი მექანიკური რხევების მისაღებად, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სოფლის მეურნეობის, მედიცინის, ქიმიის და მრეწველობის სხვადასხვა სფეროში. მისი კონსტრუქცია დაცულია “საქპატენტის” მიერ გამოგონებაზე პატენტით P 3903 , 2006 წელი.



საქართველო
ინველექციური საქართველოს ეროვნული სანბანი «საქავაზენბი»

პატენტი

P 3903

გაუმჯობესება:

ვიბრაციული დამხარისხებელი დანადგარი

კავშირის მფლობელი:

რობიზონ ქსოვრული, შაველა მკელდიძე,
ნუგზარ ქსოვრული, ედიშერ შიღელიაშვილი

ავტორი:

რობიზონ ქსოვრული, შაველა მკელდიძე,
ნუგზარ ქსოვრული, ედიშერ შიღელიაშვილი

ძალაშია:

2005 06 17 - დან



წ. კახიანი


ლევონ კახიანი
ინველექციური დირექტორი

თბილისი

1.1. ელექტრომაგნიტული ელექტრომაგნიტური და ელექტრომაქანიკური ვიბრაციული დამხარისხებელი დანადგარების ტექნიკური შესრულების დასაბუთება და აღწერა.


ელექტრომაგნიტური ვიბრაციული დანადგარი წარმოადგენს დამხარისხებელ ბუნეერს, რომლის ამძრავი მექანიზმია ელექტრომაგნიტური ვიბროდამგზნები [96] და დრეკადი სისტემა.

ელექტრომაგნიტური აღმგზნები სტატორი შესრულებულია Π-ს მაგვარი მაგნიტოგამტარით, რომლის ღუზის და სტატორის პოლუსების სიმრუდე წრეხაზზე მდებარეობს სურ.1.2. ღუზის პოლუსებს შეუძლია სტატორის პოლუსებთან გადაადგილება და შემობრუნება შეჯახების გარეშე. ღუზის და სტატორის პოლუსებს შორის საჰაერო ღრეწოს გაანინია მინიმალური სიდიდე და იგი მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს. მაგნიტის მიზიდვის ძალის სიდიდე დამოკიდებულია არა მარტო ღრეწოს სიდიდეზე, არამედ მათი პოლუსების ზედაპირის ფართობის გადაფარვის ცვლაზე.



სურ. 1.1. ელექტრომაგნიტური ვიბრაციული დამხარისხებელი დანადგარის საერთო ხედი

ვიბროალმგზნების ასეთი კონსტრუქციული შესრულება იძლევა ვიბრაციული ბუნკერის რეზონანსულ რეჟიმში $\omega = \omega_0$ მუშაობის შესაძლებლობას, რაც იწვევს მოთხოვნილი ძალის შემცირებას. შედეგად, იზრდება დანადგარის ენერგეტიკული მაჩვენებლები – მარგი ქმედების კოეფიციენტი და სიმძლავრის კოეფიციენტი; იზრდება დანადგარის ეკონომიკური ეფექტიანობა.




სურ.1.2 ელექტმაგნიტური აღმგზნები

ამგზნების მოქმედების კოეფიციენტი შემდეგია: ელექტრომაგნიტის კოჭაში გამავალი დენის აღმზნები ძალის მოქმედებით გამოწვეული მაგნიტური ნაკადი იმოქმედებს ღუზაზე იმ ძალით, რომელიც პროპორციულია ღუზისა და სტატორის პოლუსებს შორის არსებული მაგნიტური საჰაერო ღრეოსი.

ელექტრომაგნიტური ვიბრაციული ბუნკერი (სურ. 1.1) შედგება: სადგარისაგან 1, რომელიც ხისტად არის დაკავშირებული სტატორთან 2, რომლის ღეროებზე მოთავსებულია ორი მიმდევრულ-თანხვედრილად შეერთებული გრაგნილები, რომლებიც კვებას ღებულობენ ცვლადი დენის ძაბვის წყაროდან V დიოდის დახმარებით. სტატორის და ღუზის პოლუსები 4, 5 დაკავშირებული არიან მაგნიტურად საჰაერო ღრეოსი $\delta_0 = \cos \omega t$ დახმარებით ისე, რომ ღუზას შეუძლია სტატორის მიმართ შემობრუნება. თავის მხრივ, ღუზა 6 ხისტად არის დაკავშირებული ბუნკერის დისკოს 7 ძირზე, რომელიც სამი საყრდენი იდენტური ღრეკადი რესორით 8 დაკავშირებულია სადგართან, რომელთა დახრის კუთხე პორიზონტის მიმართ არის β . ვიბროაღმზნების მუშაობა ასეთი დახრილი რესორებით საშუალებას იძლევა ბუნკერის 9 რხევა, რომელიც ხისტადაა დამაგრებული დისკოზე ეაწარმოთ ორ სიბრტყეში, პორიზონტალურ xy და ვერტიკალურ z სიბრტყეებში, რაც ჯამში ხრახნულ მოძრაობას იძლევა.

ვიბროდანადგარის მუშაობის პრინციპი შემდეგია: ცვლადი ძაბვის მიწოდების დროს სტატორის 2 გრაგნილებში 3 (სურ. 1.1) გაივლის V დიოდის დახმარებით ერთი ნახევარპერიოდისანი ცვლადი დენი და შესაბამის მაგნიტურ კონტურში წარმოქმნის ცვლად მაგნიტურ Φ ნაკადს, რომელიც შეიკვრება მაგნიტურ კონტურში და ღუზა 6-ის მიზიდვა მოხდება ელექტრომაგნიტის მიზიდვის ძალით ზემოდან ქვემოთ მცირე შემობრუნებით. დროის ერთ მონაკვეთში ღრეკადი რესორების სისტემა მოძრაობს ზემოდან ქვემოთ. დენის მეორე პერიოდში V დიოდი არ გაატარებს დენს. ამ დროს $F=0$, ამიტომ ღრეკადი სისტემის რესორები ქვემოდან ზემოთ იმოძრავენ. შესაბამისად ღუზაც იმოძრაებს ქვემოდან ზემოთ მცირე შემობრუნებით და უბრუნდება საწყის მდებარეობას. მოხდება ღუზის (ბუნკერის) რხევის ერთი პერიოდი, მეორე და

ა.შ. პერიოდები. დენის გავლა გრაგნილებში გამოიწვევს ღუზის მიზიდვას, დენის არ გავლა კი - ღუზის განზიდვას და ასე პარმონიულად დაიწყებს ბუნკერი როტორთან ერთად რხევას ცვლადი დენის სიხშირით [97].



სურ. 1. 3.

სურ. 1.3 - ზე ნაჩვენებია ელექტრომაგნიტური ვიბრობუნკერის ელექტრული აღმგზნების კვების სქემა, რომელიც შედგება სტატორის დეროებზე (სურ1.1) მოთავსებული ელექტრული კოჭებისაგან. ერთდროულად მიმდინარეობს შეუქცევადი პროცესები ელექტრული ენერგიის

სითბოთი გარდაქმნის $I^2 r_k$ და მაგნიტური ენერგიის $\frac{LI^2}{2}$

მექანიკურ ენერგიად (ღუზისა და ბუნკერის რხევა) გარდასაქმნელად.

სურ. 1.5. წრედის r, L ელემენტებში ერთი და იგივე დენი გაედინება, ამიტომ კირკზოფის მეორე კანონის თანახმად ვწერთ:

$$U = ir + L \frac{di}{dt} \quad (1)$$

სადაც $(0+\varphi) < i < (\pi+\varphi),$

$$\text{ხოლო } L = \frac{L_{\min} + L_{\max}}{2} \quad [36]$$

$$L_{\min} < L < L_{\max}$$

ძაბვა წრედში იცვლება სინუსოიდალურად

$$U = U_m \sin \omega t \quad (2)$$

ელექტრომაგნიტური ვიბროაღმგზნების წრედში მუდმივად მიმდინარეობს V დიოდის დახმარებით და ღუზის სტატორთან მდებარეობის პარამეტრების ცვლით გამოწვეული ჩართვა - გამორთვის პროცესები, რომელიც შეიძლება ჩავთვალოთ მყისიერად (1) ფორმულის ამონახსნი იქნება ჯამის სახით:

$$i = i_{\text{დ}} + i_{\text{თავ.}}, \quad (3)$$

სადაც დამყარებული დენი

$$i_{\text{დ}} = \frac{U_m}{Z} \sin(\omega t + \varphi) \quad (0 + \varphi) \leq i \leq (\pi + \varphi), \quad (4)$$

ხოლო თავისუფალი დენი კი -

$$i_{\text{თავ.}} = e^{-\frac{r}{L}t}$$

$$Z = \sqrt{r^2 + (\omega L)^2} \quad \text{სრული წინაღობა, [ომ].}$$

$$\varphi = \arctg \frac{\omega L}{r}; \quad - \text{ ძერის კუთხეა მოდებულ ძაბვასა}$$

და წრედში გამავალ დენს შორის $\varphi = -\psi_i$;


განსახილველ წრედში, როცა $t = 0$ დენისათვის, ფორმულა (3) -დან გვაქვს:

$$0 = \frac{U_m}{Z} \sin \varphi + A \quad \text{და} \quad A = -\frac{U_m}{Z} \sin \varphi = -\frac{U_m}{Z} \sin(-\psi_i) \quad (5)$$

საბოლოოდ წრედში დენის ძალისათვის ვღებულობთ:

$$i = \frac{U_m}{Z} \sin(\omega t + \varphi) - \frac{U_m}{Z} \sin \varphi \cdot e^{-\frac{r}{L}t}, \quad (6)$$

სადაც $\tau = \frac{L}{r}$ - წრედში დენის ცვლილების [გარ-
 დამავალი პროცესი] დროის მუდმივაა.



სურ. 14 წრედში დენის ცვლილების გრაფიკი

სურ. 14.-ზე მოცემულია ვიბროაღმგზნების წრედში დენის ცვლილება.

თუ ვიბრობუნკერის აღმგზნებ ძალას აქვს ჰარმონიული ფორმა, ხოლო კონსტრუქციას გააჩნია ბლანტი ხახუნის წინაღობა, მაშინ იძულებითი რხევის ძირითადი განტოლება ასე დაიწერება:

$$\frac{d^2x}{dt^2} + 2n\frac{dx}{dt} + \omega_0^2x = \frac{F_m \sin \omega t}{m}, \quad (7)$$

სადაც x - დამხარისხებელი ბუნკერის გადაადგილებაა [მ].

$n = \frac{\gamma \omega_0}{2\pi}$ - რხევადი სისტემის სიბლანტის მას-ასიათებელი კოეფიციენტი [წმ⁻¹];

$$\gamma = \ln\left(\frac{A_1}{A_1 + 1}\right) - \text{ჩაკრობის კოეფიციენტის}$$

ლოგარითმული დეკრემენტია;

$A_1 - i$ რიგის პერიოდის რხევის ამპლიტუდა [მ];

m რხევადი სისტემის მასა [კგ];
 (1.7) განტოლების ამონახსნს აქვს შემდეგი სახე:

$$x = A \sin(\omega t - \beta),$$

სადაც $A = \frac{x_{cm}}{\sqrt{\left(1 - \frac{\omega^2}{\omega_0^2}\right)^2 + \frac{4\omega^2 n^2}{\omega_0^4}}}$ იძულებითი

რხევის ამპლიტუდა [მ], რომელზეც მოქმედებს პარმონიული მიზიდვის ძალა F_{zm} [ნ];

C - სიხისტე [ნ/მ];

$\beta = \arctg 2\omega n / (\omega_0^2 - \omega^2)$ ძერის კუთხეა, მომქმედ მიზიდვის ძალასა და გადაადგილებას შორის; მოცემული შემთხვევისათვის დინამიურობის კოეფიციენტი იქნება:

$$b = \frac{A}{x} = \frac{1}{\sqrt{\left(1 - \frac{\omega^2}{\omega_0^2}\right)^2 + \frac{4\omega^2 n^2}{\omega_0^4}}}$$

რომლის სიდიდე b დამოკიდებულია იძულებითი და რხევადი სისტემის საკუთარი სიხშირეების $\frac{\omega}{\omega_0}$

შეფარდებასთან.

რხევით მოძრაობაში მოსულ ბუნკერში (სურ. 1.1) ვიბროტრანსპორტიორის საშუალებით ხდება დასახარისხებელი თესლის მიწოდება. ბუნკერში, ძირიდან სხვადასხვა სიმაღლეზე, მოთავსებულია სხვადასხვა ზომის ხერელებიანი ცხაეები 10, რომელთა ცვლა წარმოებს სხვადასხვა ბოსტნეული კულტურების თესლების გეომეტრიული ზომების მიხედვით. სათესლე მასალის დახარისხება მიმდინარეობს

ფრაქციებად. ბუნკერს აქვს ნარჩენების (დიდი და მცირე მოცულობის მინარევები) გამოსასვლელი ღარები 12, 13 და დახარისხებული მასალის გამოსასვლელი ღარი 11, საიდანაც გამოსული მასალა იყრება შესაბამის მიმღებ ყუთებში 14.

ვიბროალმგზნების მონაცემებია:

ხვიათა რიცხვი $n = 400$;

სადენი დიამეტრით $d = 0,001\text{მ}$;

ვიბროალმგზნების სიმძლავრე $p = 150\text{ვტ}$;

მაგნიტური სისტემის საპაერო ღრენო $\delta = 0,0002\text{მ}$;

მექანიკური რხევის სიხშირე $f = 50\text{ჰც}$, დენის სახე (კვლადი);


ვიბრატორის ელექტრული კვების წყაროს ძაბვა $U = 120-220\text{ვ}$
ქსელის სიხშირე $f = 50\text{ჰც}$.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შექმნილია აგრეთვე ელექტრომექანიკური ვიბრაციული ბუნკერი; რომლის ძირითადი კვანძებია: რხევადი სისტემა (ბუნკერი), დრეკადი სისტემა (რესორები) და ამძრავი მექანიზმი. (სურ. 1.5)

ამძრავის ხასიათის მიხედვით იგი წარმოადგენს ექსცენტრული ამძრავი მექანიზმით მომუშავე მანქანას. ამძრავი მექანიზმის მომქმედი ამღზნები ძალის $F(t)$ საშუალებით ხორციელდება დანადგარის მუშა ორგანოების მოძრაობა და შესაბამისად ტექნოლოგიური პროცესის წარმოება.

დამხარისხებელი დანადგარი წარმოადგენს ელექტრომექანიკურ ვიბრაციულ ბუნკერს, რომლის საშუალებითაც მიმდინარეობს თესლის უწყვეტი დახარისხება [95]. დახარისხება მიმდინარეობს ცალკეულ ფრაქციებად.

დანადგარი შედგება ბუნკერისაგან 1, რომელიც ხისტადაა დამაგრებული ვიბროალმგზნების მოძრავ დისკოზე 6. დისკი მოძრაობაში მოდის საკისრის 7, დამჭერი მექანიზმის 9 და მასთან შეხებაში მყოფი მუშტას 8 საშუალებით. მუშტა მექანიზმს (7, 8) მოძრაობა გადაეცემა ელექტრო ძრავიდან ($N = 150\text{ვტ}$) 12. ბუნკერი და დგარი 11 დაკავშირებულია ერთმანეთთან სამსაყრდენიანი დრეკადი სისტემის 15 დახმარებით, რომლებიც ჰორიზონტალურ სიბრტყესთან დახრილნი არიან β კუთხით.




სურ.1.5.ელექტრომექანიკური ვიბრაციული დამხარისხებელი
დანადგარის საერთო ხედი


ბუნკერის კუთხით დახრილი დრეკადი სისტემა (რესორები) ერთდროულად ასრულებს როგორც ვერტიკალურად უკუქცევით წინსვლით, ასევე პორიზონტალურ კუთხითრხევად მოძრაობას, რაც საბოლოო ჯამში ბუნკერის რხევად მოძრაობას გვაძლევს. მუშტას პროფილი ისეა შერჩეული, რომ ბუნკერის რხევა პარმონიული იყოს.

ბოსტნეული კულტურების სათესლე მასალის დახარისხების პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს: ვიბრობუნკერში დასახარისხებელი სათესლე მასალის თანაბარი მიწოდება წარმოებს მის ზემო ნაწილში მოთავსებული ხვიმირიდან ვიბრაციული ტრანსპორტიორის საშუალებით. დასახარისხებელი თესლი მიეწოდება ვიბრობუნკერს, რომელშიც ბუნკერის ძირიდან სხვადასხვა მანძილზე სხვადასხვა ზომის ხვრელებიანი ორი ცხავია მოთავსებული.


სათესლე მასალის დახარისხება, რომელთა მარცვლები ერთმანეთისაგან განსახვევებიან სიგრძის, სიგანისა და ფორმის მიხედვით (სურ. 1.6.) მიმდინარეობს მრგვალი, კვადრატული, სამკუთხა და წაგრძელებული ფორმის ხვრელებიანი საცვლეული ცხავეების საშუალებით.




სურ.1.6



[ა]



[ბ]



[გ]

სურ. 1.7. (ა,ბ,გ) ცხავეები:

ბუნკერის ზედა ცხავე წარმოადგენს მავთულის კვადრა ტულ ხვრელებიან ბადეს და მისი საშუალებით ხდება სათესლე

სათესლე მასალიდან მსხვილი მინარეების გამოყოფა, (სურ. 1.7ა.) ხოლო ქვედა ცხავის 5 შერჩევა ხდება სხვადასხვა ბოსტნეული კულტურების თესლების ზომების (სიგრძე, სიგანე) და ფორმის მიხედვით.

ძირითადად გამოიყენება მრგვალი და წაგრძელებული ფორმის ხერელებიანი ცხაეები [28]. (სურ.1.7.ბ,გ).

მრგვალ ხერელებიანი ცხაებით ხდება თესლების სიგანის მიხედვით და წაგრძელებულ ხერელებიანი ცხაებით სისქის მიხედვით დახარისხება.

მრგვალ ხერელებიანი ცხავის ხერელების დიამეტრის ზომები მმ-ში: 0,5; 0,6; 0,7; 0,8; 0,9; 1,0; 1,1; 1,2; 1,3; 1,4; 1,5; 1,6; 1,7; 1,8; 1,9; 2,0; 2,1; 2,2; 2,3; 2,5; 2,7; 3,0; 3,3; 3,7; 4,0; 4,3; 4,5; 4,7; 5,0; 5,3; 5,6; 6,0; 6,5; 7,0; 7,5; 8,0; 9,0; 10; 12; 14; 15 მმ.

წაგრძელებულ ხერელებიანი ცხავის ხერელების სიგანე მმ-ში: 0,4; 0,5; 0,6; 0,7; 0,8; 0,9; 1,0; 1,1; 1,2; 1,3; 1,4; 1,5; 1,6; 2,0; 2,1; 2,2; 2,5; 2,7; 3,0; 3,3; 3,5; 3,7; 4,0; 4,5; 5,0; 5,6; 6,0; 7,1; 8,0; 9,0; 10.

ვიბროსეპარაციის პროცესის დროს სათესლე მასალის სეპარაციის ეფექტურობა დამოკიდებულია დანადგარის ვიბრაციული მოძრაობის რეჟიმების სწორ შერჩევაზე. ვიბრობუნკერის საშუალებით დახარისხების ტექნოლოგიური პროცესების ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს მისი რხევის სიხშირე და რხევის ამპლიტუდა.

ვიბრაციის რხევის ამპლიტუდის ოპტიმალურ მნიშვნელობად შეიძლება მივიღოთ მსხვილმარცვლოვანი თესლებისათვის ამპლიტუდის მცირე სიდიდე.

ვიბრობუნკერის რხევის სიხშირის შერჩევისას ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე ჩანს, რომ მისი ზედმეტად გადიდებით დახარისხების პროცესის ეფექტურობა მცირდება, რაც განპირობებულია თესლის მარცვლების მოძრაობის სიჩქარის გაზრდით და ცხაეში დაუხარისხებელი თესლის სწრაფი გასვლით.


თესლის მარცვლის გადაადგილების სიჩქარე პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაშია ბუნკერის რხევის სიხშირესთან, რაც გამოისახება ფორმულით:

$$v = k n \quad [მ/წმ] \quad (8)$$

სადაც: n – ბუნკერის რხევის სიხშირეა, რხევ/წთ;

k—თესლის სიმსხოსი და ხეედრითი წონის დამოკიდებულების კოეფიციენტი [89].

სურათზე 1.8. მოცემულია მარცვლის v სიჩქარესა და ეიბრობუნკერის რხევის სიხშირეს შორის დამოკიდებულების მრუდი.




სურ. 1.8. მარცვლის მოძრაობის სიჩქარესა და ეიბრობუნკერის რხევის სიხშირეს შორის დამოკიდებულების მახასიათებელი მრუდები სხვადასხვა თესლისათვის.

1. ხახვი, 2. ისპანახი, 3. სუფრის ჭარხალი.

გრაფიკის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ დახარისხების პროცესში ეიბრაციის რხევის სიხშირის მატებისას მსხვილმარცვლოვანი ბოსტნეული კულტურების თესლების

გადაადგილების სინქარე შედარებით ნაკლებად იზრდება, ვიდრე წერილმარცვლოვანი კულტურების თესლებისა.


ბუნკერის რხევის ოპტიმალური მნიშვნელობები ხახვის $n=1850$ რხევ/წთ, ისპანახის $n=1300$ რხევ/წთ, სუფრის ჭარხლის $n=1200$ რხევ/წთ.



სურ.1.9. ხახვის თესლის გადაადგილების სინქარის დამოკიდებულება რხევის სიხშირიდან გამომდინარე სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით.

სურათზე 1.9 მოცემულია ღარიდან გამოსული ხახვის თესლის სინქარის დამოკიდებულება რხევის სიხშირესა და ამპლიტუდაზე. კვლევის ექსპერიმენტული მონაცემებიდან ჩანს, რომ დასახარისხებელი მასალის ფენის სისქის ცვლილება გავლენას

ახდენს ტრანსპორტირების სინქარეზე; ფენის სისქის გაზრდა ამცირებს ვიბროტრანსპორტირების სინქარეს.



სურ. 1.10 თესლების გადაადგილების სინქარის დამოკიდებულება ვიბრობუნკერის რხევის კუთხურ სიხშირეზე სხვადასხვა ამპლიტულის შემთხვევაში

ბოსტნეული კულტურების თესლის ფიზიკომექანიკური თვისებები გაველენას ახდენს მის ვიბროტრანსპორტირების სინქარეზე. დანადგარის მუშაობის სხვადასხვა რეჟიმისათვის სხვადასხვა სახის თესლის დახარისხებისას ამ თვისებების გამოვლინება სხვადასხვაა.

სურათ1.10-ზე მოცემულია ბოსტნეული კულტურების: 1.კამა, 2.ხახვი, 3.ბადრიჯანი, 4.ისპანახი, 5.ჭარხალი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ფიზიკომექანიკური თვისებების მქონე

თესლების ტრანსპორტირების სინქარის დამოკიდებულება ვიბრობუნკერის რხევის კუთხურ სიხშირეზე და მის რხევის ამპლიტუდაზე.

გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ წერილმარცვლოვანი ბოსტნეული კულტურების თესლების ვიბრაციული გადაადგილების სინქარე მატულობს მსხვილმარცვლოვანთან შედარებით რხევის სიხშირის მატებასთან დაკავშირებით, რხევის ამპლიტუდის სიდიდის ზრდის პირობებში.

12. ვიბრაციული დამხარისხებელი მოწყობილობის ანბარიში

ვიბრაციული ბუნკერული მოწყობილობის მწარმოებლობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ვიბროსეპარირებადი მასალის მოძრაობის სინქარეზე [66, 67, 23]. მისი თეორიული მწარმოებლობა იანგარიშება ფორმულით:

$$\Pi_{\text{თ}} = a \frac{60}{T_a} V_{\text{საშ}} , \quad (9)$$

სადაც a - ბუნკერში ერთდროულად მოთავსებული თესლის რაოდენობაა. T_a - მუშა ციკლი წმ-ში.

დასახარისხებელი მასალის საშუალო სინქარე განისაზღვრება მისი ΔS მიკროგადაადგილებით T_j კინემატიკური ციკლის განმავლობაში. იგი დანადგარის მუშა ორგანოს რხევის ერთი პერიოდის ტოლია.

$$V_{\text{საშ}} = \frac{\Delta X}{T_j} \quad [\text{მ/წმ}] \quad (10)$$

სადაც: $T_1 = \frac{1}{f}$

f - რხევის სიხშირეა პერცენტში. მაშინ დანადგარის მუშა და კინემატიკურ ციკლებს შორის დამოკიდებულება გამოიხატება ფორმულით:

$$T_{\text{მუშ}} = \frac{l}{V_{\text{საშ}}} = \frac{lT_K}{\Delta X} = kT_J = \frac{k}{f} \quad [\text{წმ}] \quad (11)$$

სადაც $k = \frac{l_m}{\Delta X}$

l_m ნაწილაკის სიგრძეა მ-ში. თუ თესლი სფერული ფორმისაა, მაშინ ნაწილაკის სიგრძე მისი დიამეტრის ტოლი იქნება.

ტექნოლოგიური ციკლი გამოითვლება ფორმულით

$$T_{\text{ბმ}} = \frac{L}{V_{\text{საშ}}} = \frac{LT_J}{\Delta X} = \gamma T_J, \quad (12)$$

სადაც $\gamma = \frac{L}{\Delta X}$ [მ.]

L - ნაწილაკის გადაადგილების მანძილი მ-ში.

თუ მხედველობაში მივიღებთ დამოკიდებულებას T_a და T_J -ს შორის, მაშინ მივიღებთ:

$$T_{\text{ბმ}} = \gamma T_J = \frac{\gamma}{K} T_{\text{მუშ}} = \rho T_{\text{მუშ}}. \quad (13)$$

სადაც $\rho = \frac{L}{l}$.

X და ρ სიდიდეები პრაქტიკულად, ყოველთვის ერთზე მეტია. აქედან გამომდინარე

$$T_{\text{მუშ}} = kT_J = \frac{T_{\text{ბმ}}}{\rho} \quad (14)$$

დანადგარის თეორიული მწარმოებლობა გამოითვლება ფორმულით:

$$\Pi_{\text{თ}} = \frac{60}{T_a} = \frac{60}{kT} = \frac{60\Delta X}{lT_J} = \frac{60L}{lT_{\text{ბმ}}} = \frac{60}{l} \frac{V_{\text{საშ}}}{l} \quad (15)$$

ბუნკერის გაბარიტული ზომების ანგარიში დამოკიდებულია ჩატვირთული მასალის თითოეული ნაწილაკის ზომაზე და მისი ჩატვირთვის ციკლის ხანგრძლივობაზე. ბუნკერის შიგა დიამეტრი გამოითვლება ფორმულით:

$$D_{\text{შ}} = \sqrt{\frac{(1,5 \div 2) \Pi_{\text{გ}} n w T_{\text{შ}}}{H_1}} \quad [მ], \quad (16)$$

სადაც $\Pi_{\text{გ}}$ - დანადგარის ნამდვილი მწარმოებლობა.
 n - ფრაქციების რაოდენობა.
 w - ჩასატვირთი სათესლე მასალის მოცულობა.
 $T_{\text{შ}}$ ბუნკერის ხელახალი შევსების ციკლის ხანგრძლივობა.

H_1 ბუნკერის იმ ნაწილის სიმაღლე, სადაც თავსდება დასახარისხებელი მასა, $H_1 = \frac{H}{3}$; [მ]

ბუნკერის კედლის სისქე $\Delta = (2-3)10^{-3}$; [მ]

ბუნკერის გარე დიამეტრიც იანგარიშება ფორმულით

$$D_{\text{გ}} = D_{\text{შ}} + 2 \quad (17)$$

დრეკადი სისტემის სიხისტის განსაზღვრა დამოკიდებულია დანადგარის მუშა ნაწილის ბუნკერის საკუთარ რხევის სიხშირეზე, მის ოპტიმალურ რეჟიმზე, მუშაობის პირობებზე [24].

ბუნკერის საკუთარი რხევის სიხშირე გამოითვლება ფორმულით:

$$\omega_0 = \frac{1}{2\pi} \sqrt{\frac{C}{M}} \quad [1/\text{წმ}] \quad (18)$$

სადაც C დრეკადი ელემენტების რესორების სიხისტა [კგ/წმ²].

M დანადგარის მოძრავი აქტიური ნაწილის მასა კგ-ში.

ვიბროალმგზნების მოძრავი ნაწილი (ბუნკერი) დამაგრებულია დრეკადი სისტემის ჰორიზონტისადმი იდენტურად დახრილ სამ რესორზე. (რესორების კვეთი -

მრგვალი). ისინი კი თავის მხრივ, მეორე ბოლოთი მაგრდება დგარზე.

სურ. 1.11.-ზე მოცემულია ვიბრაციული ბუნკერის დინამიკური სქემა. მისი დრეკადი სისტემა უზრუნველყოფს ბუნკერის რხევით ხრახნულ მოძრაობას; მოძრაობის მიმართულება ჰორიზონტისადმი დახრილია β კუთხით.

β კუთხე განისაზღვრება ფორმულით:

$$\operatorname{tg} \beta = \frac{(1 + \mu)r_0 S}{(1 + \mu)r_c} \quad (19)$$

სადაც $S = \sin \theta \operatorname{tg}$

$$\mu = \frac{I_B}{I_H} \quad \mu = \frac{m_B}{m_H},$$

სადაც - m_B, m_H, I_B, I_H - შესაბამისად ბუნკერის და დგარის მასა და ინერციის მომენტებია.

r - ბუნკერის ძირზე დრეკადი სისტემის რესორების დამაგრების წრის რადიუსია;

r_0 რესორების დგართან წრეზე დამაგრების რადიუსია;

φ - რესორის ვერტიკალთან დახრის კუთხე;

φ კუთხე მოცემული β კუთხის შემთხვევაში იანგარიშება ფორმულით:

$$\sin^4 \varphi - 4 \left[\left(\frac{1 + \mu}{1 + \mu'} \cdot \frac{r_c}{r_0} \operatorname{tg} \beta \right)^2 + 1 \right] \rho^2 \sin^2 \varphi + 4 \left(\frac{1 + \mu}{1 + \mu'} \cdot \frac{r_c}{r_0} \operatorname{tg} \beta \right)^2 \rho^2 = 0 \quad (20)$$

სიდიდე $Z = \frac{\varpi}{\omega_0}$, რომელიც მინიმალური მოთხოვნილი ძალის

პირობებში უზრუნველყოფს დანადგარის მუშაობის სტაბილურობას. შეირჩევა 0.95 - 0.98 საზღვრებში.

ω_0 -საკუთარი რხევის სიხშირეა.

დრეკადი სისტემის სიხისტე $C = \frac{\varpi^2}{Z^2} M$,

სადაც M აქტიური სისტემის მასაა.

$$M = \frac{m_B S^2}{1 + \mu} + \frac{I_B}{r_0^2 (1 + \mu)} \quad [\text{კბ}] \quad (21)$$

დრეკადი სისტემის რესორების მინიმალური სიგრძე შეირჩევა

ფორმულა
$$l_{\min} = 2 \sqrt{\frac{40,5 A_0^4 \sin^4 \beta K_2 E^3 M \omega^2}{[\sigma_{-1}]^4 I^4 S^4 i Z^2 K_1}} \quad [\text{მ}] \quad (22)$$

სადაც
$$k_1 = \gamma \frac{\sin^2 \theta}{\cos^2 \varphi} + \frac{\gamma^3}{3} \cos^2 \theta - \frac{\gamma - 0,63}{3 \rho^2} \cdot \frac{G}{E} \cos^2 \varphi$$


$$k_2 = \rho$$

$$A_0 = \frac{V(1 + \mu)}{\omega K_c \cos(\beta - \alpha)} \quad [\text{მ}]$$

θ კუთხე, რომელიც მიღებულია რადიუსსა და რესორის ჰორიზონტალურ გეგმილს შორის.

დრეკადი სისტემის რხევის A_0 ამპლიტუდის დროს წარმოშობილი დაძაბულობისას სისტემის სიმტკიცე არ უნდა აღემატებოდეს სიმეტრიული ციკლური დატვირთვის [σ] მნიშვნელობას. რესორების სიგრძის l_{\min} შერჩევისას გამოიანგარიშება მათი სიგანე:


$$b = \sqrt[4]{\frac{\omega^2 M l^3}{E i z^2 K_1}} \quad [\text{მ}] \quad (23)$$



სურ. 1.11. ვიბრაციული ბუნკერის დინამიკური სქემა. 1 - ვიბრობუნკერის აქტიური მასა m_b , 2 - ვიბრობუნკერი რეაქტიული მასა m_h , 3 - დრეკადი სისტემა

ზემოთ მოყვანილი ვიბრაციული დანადგარების მუშა რეჟიმების ეფექტურად მართვისათვის შემუშავებულია მართვის თირისტული სქემა, რომლითაც ვარეგულირებთ თირისტორის გაღების კუთხეს და ვიბროამგზნებთა კოჭაში დენის გავლის ხანგრძლივობას (სურ. 1.12). სქემა მუშაობს შემდეგნაირად: ამრთველის ამოქმედებით კონდენსატორის C ფირფიტებზე დენი დაიწყებს წანაცვლებას, დამუხტვის იმპულსი დინისტორის VD2 საშუალებით გადაეცემა VS თირისტორის

მართვის ელექტროდს. ამ დროს მიმდინარეობს თირისტორის გადართვა მცირე გამტარობიდან მაღალი გამტარობის მდგომარეობაში. შესაბამისად დენი იწყებს გადინებას ელექტრომაგნიტური ვიბროამპრავის კოჭაში YA. ძაბვის რეგულირება თირისტორის მართვის ელექტროდ'ზე, რაც შეიძლება განიმარტოს, როგორც დენის გავლის გაღების კუთხის რეგულირება, ხორციელდება ცვლადი რეზისტორით R1. კონდენსატორის მუხტის მიღება იწვევს თირისტორში დენის შემცირებას და მის ნაკეტილ მდგომარეობაში გადასვლას. ამ შემთხვევაში დენი თირისტორს და კოჭას არ მიეწოდება.



სურ. 1.12. ერთტაქტიანი ელექტრომაგნიტური ვიბროამპრავის კვების სქემა


13. თესლის კომბინირებული დამხარისხებელი დანადგარის კონსტრუქციული ანალიზი.

ელექტრომექანიკური და ელექტრომაგნიტური მეთოდებით მომუშავე დანადგარების მიერ დახარისხებული ბოსტნეული კულტურების თესლის დახარისხების ხარისხის გაუმჯობესების და მის მაღალ კონდენციამდე აყვანის მიზნით ვაწარმოებთ მაღალი ძაბვის ელექტრულ ველში თესლის დამატებით დახარისხებას [17]. ამ მიზნით შევქმენით კომბინირებული დანადგარები:

- 1) ელექტრომაგნიტური ვიბრაციული ბუნკერისა და მაღალი ძაბვის ელექტრული ველის წარმომქმნელი დანადგარის კომბინაცია. (სურ. 1.14)
- 2) ელექტრომექანიკური ვიბრაციული ბუნკერისა და მაღალი ძაბვის ელექტრული ველის წარმომქმნელი დანადგარის კომბინაცია. (სურ. 1.15)

ვიბრაციული ბუნკერის მიერ დახარისხებული თესლის შემდგომი მეორადი დახარისხება ხორციელდება ელექტრული ველით [93]. ბუნკერი წარმოადგენს უარყოფით ელექტროდს (იგი დამიწებულია). ბუნკერიდან გამოსული უარყოფითად დამუხტული თესლი ხვდება მაღალი ძაბვის ელექტრულ ველში, რომელიც წარმოიქმნება მაღალი ძაბვის დენის წყაროს მეშვეობით [99]. ბუნკერი 1 (სურ.1.15) მაღალი ძაბვის დენის წყაროს უარყოფით ელექტროდია, ხოლო დადებითად დამუხტული ელექტროდები, რომელთა დიამეტრი $d=(1..2)$ მმ-ია განლაგებულნი არიან ბუნკერის ღარის 3 მიმართ L მანძილზე წრიულად, ურთიერთშორის L_1 მანძილის დაშორებით (სურ.1.13). L და L_1 მანძილების ცვლილება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ბოსტნეული კულტურების თესლების დახარისხების მიხედვით.


ბუნკერში მყოფი თესლის მასა იძენს უარყოფით მუხტს და როცა იგი ხვდება დადებითად დამუხტული მაღალი ძაბვის ელექტრული ველის არეში, ისინი ექცევიან მექანიკური და ელექტრული ძალების ზემოქმედების ქვეშ. ამ ძალების




სურ.1.13.

ზემოქმედებით იწყებენ მოძრაობას დადებითი ელექტროდებისაკენ. თესლის მასა ელექტრული ძალწირების ნაკადის მეშვეობით იმოძრაავს ვერტიკალურ სიბრტყეში. საღი თესლების მოძრაობის მიმართულების გადახრა დადებითი ელექტროდებისაკენ, მათი მაღალი სიმკვრივისა და მასის გამო, ნაკლებად მოხდება და ჩაცვივა ბუნკერთან ახლოს მდგომ მიმღებ ყუთში 16, ხოლო ნაკლები კუთრი წონის მქონე ფშუტე თესლები გაივლიან რა დადებითი ელექტროდების სიბრტყეს, ცვივიან ბუნკერიდან უფრო დაშორებულ მიმღებ ყუთში 10, დიდი ზომის მინარევები და თესლზე მცირე ზომის ნაწილაკები შესაბამისი ღარებიდან (2,4) თავსდება შესაბამის ყუთში 18 [100]. (სურ.1.15).

მარცვლების მოძრაობის ტრაექტორია დამოკიდებულია როგორც ელექტრული ველის დაძაბულობის სიდიდეზე, ისე მათ გეომეტრიულ ზომებზე, ელექტროფიზიკურ თვისებებზე, კუთრ წონაზე (γ) და დიელექტრიკულ შეღწეადობაზე (ϵ).



სურ. 1.14. ელექტრომაგნიტური ვიბრაციული და მაღალი ძაბვის ელექტრული ველით კომბინირებული დამხარისხებელი დანადგარი



სურ. 1.15. ელექტრომექანიკური კომბინირებული
დამხარისხებელი ვიბრობუნკერი.

ვინაიდან უარყოფითად დამუხტული ერთეული თესლის მარცვლის სიჩქარე v_0 მცირეა, ამიტომ თესლის მასა უცვლელი სიდიდისაა. თუ კი პოტენციალური სიდიდის სხვაობა უარყოფით (ბუნკერის გამოსასვლელით) და დადებით ელექტროდებს შორის არის ძაბვის სიდიდე U და მანძილი მათ შორის არის D , მაშინ ელექტრული ველის დაძაბულობა იქნება

$$E = \frac{U}{D} \quad (\text{ვ/მ}), \quad (24)$$

თითოეულ უარყოფითად დამუხტულ თესლზე იმოქმედებს მიზიდვის ძალა, რომელიც ტოლია

$$F = QE \quad (6), \quad (25)$$

სადაც Q - ერთეული თესლის მუხტია, რომლის განსომილებაც არის კულონი = ამპერ.წმ.

ელექტრული ველის დაძაბულობით დამუხტულ თესლზე იმოქმედებს მუდმივი ძალა, რომლის გამოც თესლის მარცვლები ღებულობენ დამატებით აჩქარებას:

$$a_1 = \frac{F}{m} \quad [ნ/კგ], \quad (26)$$

სადაც m_1 ერთი თესლის მასაა (კგ).

გამოსახულებებიდან ჩანს, რომ რაც მეტია ერთეული თესლის მასა m_1 , მით ნაკლებია მისი აჩქარება. ხოლო ფშუტე თესლისათვის პირიქით. მასის სიმცირის გამო მისი აჩქარება დიდია. ენერგიის შეღმეობის კანონიდან გამომდინარე ვწერთ, რომ თუ ვიბრობუნკერის ღარიდან გამოსული თესლის მარცვლების კინეტიკური ენერგია არის - w_0 , მაშინ ელექტრული ველის ენერგია იქნება

$$w_e = w - w_0 = \frac{mV^2}{2} - \frac{mV_0^2}{2} = Q \quad (\text{ჯოული}), \quad (27)$$

სადაც გადაადგილება

$$x = x_m \sin \omega t \quad (მ), \quad (28)$$

სიჩქარე

$$v = \frac{dx}{dt} = \omega \cdot x_m \cos \omega t \quad \text{მ/წმ} \quad (29)$$


აჩქარება

$$a = \frac{dv}{dt} = -\omega^2 x_m \sin \omega t \quad \text{მ/წმ}^2 \quad (30)$$

27-ე ფორმულიდან შეგვიძლია დავადგინოთ ებრობუნკერის ღარიდან გამოსული თითოეული თესლის მოძრაობის სინქარე

$$v_1 = v - v_0 = \sqrt{2 \frac{Q}{m}} U \text{ მ/წმ.} \quad (31).$$

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ელექტრული ველი წარმოიქმნება მაღალი ძაბვის დენის წყაროს მეშვეობით. იგი იძლევა ძაბვის მდორე რეგულირების საშუალებას 0-დან 27კვ-მდე [95]. სურ. 1.16.



სურ. 1.16. მაღალი ძაბვის დენის წყაროს მართვის სქემა.

მისი მართვის სქემა (სურ.1.16) მუშაობს შემდეგნაირად: ლაბორატორიული ავტოტრანსფორმატორი (ლატრ) კვებაგს მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორს 1 და დაბალი ძაბვის გრაგნილებს. შედეგად მაღალი ძაბვის გრაგნილის მომჭერებზე მიიღება შესაბამისი ძაბვები (15÷24)კვ. მაღალი ძაბვის ცველადი სინუსოიდალური ძაბვის გრაგნილის მომჭერები მიერთებულია გამმართველის 2 შესაბამის მომჭერებზე 3-3'; ხოლო 4-4' მომჭერებიდან მიიღება მუდმივი დენი, კერძოდ მომჭერი 4'-დან ვღებულობთ მაღალი ძაბვის დადებით სი-

დიდეს, რომელსაც ვაერთებთ შესაბამის ელექტროდებზე 5. უარყოფითი მომჭერი 4 მიერთებულია ბუნკერის რეზერვუარზე და დამიწებულია.

1.4. ბოსტნეული კულტურების სათესლე მასალის ფიზიკომექანიკური თვისებების გამოკვლევა

ბოსტნეული კულტურების დამხარისხებელი მანქანებით დახარისხების ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობას საფუძვლად უდევს სხვადასხვა ბოსტნეულის დასახარისხებელი მასალის ფიზიკომექანიკური თვისებების გამოკვლევა.

დამხარისხებელ მანქანებში სათესლე მასალის დახარისხების ოპტიმალური პარამეტრების დადგენისათვის აუცილებელია გათვალისწინებული იყოს თესლის ის ფიზიკომექანიკური მახასიათებლები როგორიცაა:

1. გეომეტრიული ზომები (სიგრძე, სიგანე, სისქე);
2. აეროდინამიკური თვისებები;
3. ზედაპირის მდგომარეობა;
4. გეომეტრიული ფორმა;
5. ხვედრითი წონა და სხვა [92].

ჩვენს მიერ დამუშავებული მეთოდებით დანადგარის მოქმედებას საფუძვლად უდევს თესლის, როგორც ფიზიკომექანიკური, ისე ელექტროფიზიკური თვისებების აუცილებელი გათვალისწინება.

ვიბრაციული ბუნკერით სათესლე მასალის დახარისხება ძირითადად წარმოებს მისი გეომეტრიული ზომების, სიმკვრივის, ზედაპირის ხასიათისა და ფორმის მიხედვით, ხოლო მაღალი ძაბვის ელექტრულ ველში შემდგომი დახარისხებისას გათვალისწინებულია თესლის კუთრი წონა, ელექტროგამტარობა, დიელექტრიკული განვლადობა და პოლარობა [63].

ბოსტნეული კულტურების თესლი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლებისაგან განსხვავებით გამოხატული სპეციფიკურობით ხასიათდება. თესლის ზედაპირი შეიძლება იყოს გლუვი (ბადრიჯანი, ბოლოკი, კომბოსტო და სხვა), ნახევრად გლუვი (ხახვი ან ბუსუსიანი პომიდორი, ჭარხალი). თესლის ფორმა შეიძლება იყოს სფერული, მრგვალ-

ბრტყელი, კვერცხის მაგვარი და ა.შ. ყოველივე ეს დიდ მოთხოვნებს უყენებს თესლის სახარისხებელ მანქანებს. მაგალითად, ვიბრაციული ბუნკერით დახარისხებისას აუცილებელია ბოსტნეული კულტურების თესლებისათვის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ხერელებიანი ცხავეების გამოყენება.

(ცხრილი 1.1-ში მოცემულია ზოგიერთი სახის ბოსტნეული კულტურების თესლების ფიზიკომექანიკური მახასიათებლები [58].

ცხრილი 1.1.

ბოსტნეული კულტურა (თესლის სახეობა)	სიგრძე მმ.	სიგანე მმ.	სისქე მმ.	1000 მარც. მასა გრ.	სისუფთავე (თესლების რიცხვი კგ-ში, ათასი (კალი))
ისპანახი	2,8	3,5	1	8,0-11,0	110-170
ბოლოკი	3-3,5	2,2-2,8	1,8-2	8-10	100-120
ბადრიჯანი	2,5	3,1	1	3-6	200-250
კიტრი	9,1	3,7	1,5	16-25	40-50
ხახვი	3	1,9-2,1	1,3-1,6	2,5-5,0	250-300
კომბოსტო თეთრთაყვიანი	1,8-2,2	1,6-2,0	1,5-1,8	3-9	270-300
კომბოსტო ყვავილოვანი	2,2	1,6-2,0	1,5-1,8	2,5-8	290-350
სტაფილო სუფრის	2,5	1,2	0,8	1-2	800-1200
ჭარხალი სუფრის	3,8-4,2	4,1-4,4	3,4-4,4	10-22	40-60
ნიახური	2,1	2,4	1,0-1,1	1-2	750-1000
ოხრახუში	2,2	2,5	1,0-1,1	1-2	700-1000
კამა	3	1,5	0,7	1-2	700-960
პომიდორი	3-3,6	2,3-2,4	0,8-0,9	2,8-4,0	260-320
წიწაკა	3,0	2,6	0,7	4,0-6,0	170-250

ცხრილში 1.2-ში მოცემულია სათესლე მასალის აგრობიოლოგიური მაჩვენებლები [59]

	თესლის ხასკობა	კლასი	აღმოცენება %	გაღვივების ენერჯია %	1000 მარც. მასა გრ.
1	ისპანახი	I	70	70	8.0-11.0
		II	50	50	
2.	ბადრიჯანი	I	85	85	3.0-6.0
		II	60	55	
3.	კიტრი	I	90	90	20-30
		II	65	70	
4.	ხახვი	I	80	80	2.5-5.0
		II	50	50	
5.	კომბოსტო	I	90	90	3.0-3.5
	თეთრთაყიანი	II	60	60	
6.	კომბოსტო	I	80	80	2.5-3.0
	ქვავილოვანი	II	50	50	
7.	სტაფილო	I	70	70	1.0-2.0
		II	50	50	
8.	ჭარხალი	I	80	80	10-21
	სუფურის	II	60	60	
9.	ნიახური	I	75	75	1.0-2.0
10.		II	50	50	
	კამა	I	80	80	1.0-2.0
		II	50	50	

თესლი ითვლება ვარგისად, თუ მისი აღმოცენების უნარი შეესაბამება ცხრილში მოცემულ მონაცემებს.

კვლევის პერიოდში შესწავლილი და დადგენილი იქნა სათესლე მასალის წონითი მაჩვენებლები: კუთრი წონა, ჩაყრითი მასა და აბსოლუტური მასა, რომელთა შესწავლა განპირობებული იყო დანადგარის ოპტიმალური რეჟიმების დადგენისათვის. თესლის კუთრი წონის განსაზღვრა დაკავშირებულია მნიშვნელოვან ტექნიკურ სიძნელებებთან და მოითხოვს დიდ დროს. ამიტომ უფრო ხელსაყრელია დახარისხების შედეგების განსაზღვრის დროს ვისარგებლოთ თესლის ჩაყრითი წონისა ან აბსოლუტური წონის სიდიდეების დადგენით. თესლის კუთრი წონა გამოითვლება ფორმულით

$$\chi = \frac{G}{V} \quad (32)$$

სადა: G - თესლის წონაა, კგ.

V - თესლის მოცულობა, მ³

სხვადასხვა კულტურების კუთრი წონები დამოკიდებულია თესლის ქიმიურ შემადგენლობაზე, სინოტივეზე, ბიოლოგიურ სიმწიფეზე და ა.შ. თესლში ჰაერის არსებობა შესამჩნევად ამცირებს მის კუთრ წონას. ჰაერი თესლში შეიძლება იყოს როგორც მის შიგნით, ისე მის ქერქში. რაც უფრო მშრალია თესლი, მით უფრო მეტ ჰაერის რაოდენობას შეიცავს იგი და მისი კუთრი წონაც დაბალია.

მკვლევარების მიერ დადგენილია, რომ სხვადასხვა კულტურების თესლი შეიცავს 6-35%-მდე ჰაერს [97]. დადგენილია, რომ ბოსტნეული კულტურების სათესლე მასალის მარცვლების კუთრი წონა დამოკიდებულია თესლის ფიზიოლოგიურ სიმწიფეზე, ე.ი. მასზე თუ რამდენად ვარგისია მარცვალი აღმოცენებისათვის. ამიტომ მაღალი კუთრი წონის მარცვლების შერჩევა ამავე დროს ნიშნავს მაღალი აღმოცენების უნარის მქონე მარცვლების მიღებას. აქედან გამომდინარე, როგორც ვიბრაციული ბუნკერით, ისე მეორადი - მაღალი ძაბვის ელექტრულ ველში დახარისხებისას, ისე უნდა მოხდეს დანადგარის ოპტიმალური რეჟიმების შერჩევა, რომ სათესლე მასიდან მოხდეს მაღალი კუთრი წონის მარცვლების გამოყოფა.

კომბინირებული დახარისხების პროცესში შესაძლებელია არა მარტო წერილი მარცვლების გამოყოფა მსხვილისაგან, არამედ მშრალი მარცვლების გამოყოფა თუ თესლის კუთრი წონის განხილვის დროს მხედველობაში მიიღება მაღალტენიანისაგან, მომწიფებულისა მოუმწიფებლისაგან.

ერთი მარცვლის წონა, აბსოლუტური მასის განსაზღვრის დროს უნდა ავიღოთ 1000 მარცვლის მასა. მხედველობაში მიიღება ასევე თესლის ტენიანობის პროცენტი, რადგან მას შეუძლია გავლენა მოახდინოს 1000 თესლის მასა[58]. თესლის აბსოლუტური მასა გამოითვლება ფორმულით:

$$G = \frac{(1000 - \phi)G_1}{1000} \quad (33)$$

სადაც: $G - 1000$ მარცვლის მასა სტანდარტით გათვალისწინებული დასაშვები სინოტივის დროს.

$G_1 - 1000$ მარცვლის მასა ფაქტიური სინოტივის დროს.

Φ თესლის ფარდობითი სინოტივე %-ში

ბოსტნეული კულტურების თესლის აბსოლუტური მასა მეტად მნიშვნელოვანი მანყენებელია. იგი სრულად განსაზღვრავს როგორც სათესლს, ისე მოხაედიანობის მანყენებელს. დადგენილია, რომ სათესლს მასაღა ხახიათღება მაღალი აბსოლუტური მასით, მაღალი კუთრი წონით და სადი მარცვლებით, რომლებშიც ჭარბად არის მცენარის საკვები ნიეთიერებები.

1.5. ელექტრულ ველში დასახარისხებელი თესლის მოძრაობის ტრაექტორიის გამოკვლევა

ელექტრულ ველში მოხეედრილი ყოველი ნაწილაკი იმუხტება, რის შედეგადაც მისი შემდგომი გადაადგილება განსაზღვრული იქნება მასზე მოქმედი მექანიკური და ელექტრული ძალების ურთიერთქმედებით.

ნაწილაკზე მომქმედი ძალა განისაზღვრება კელონის კანონით

$$F=QE=(1+2 \frac{\epsilon-1}{\epsilon+2}) \cdot E^2 \cdot r_0^2 \cdot \frac{\beta t}{1+\beta t} \quad [6]; \quad (34)$$

სადაც: Q ნაწილაკის ელექტრული მუხტი კ;

E - ნაწილაკთან ელექტრული ველის დაძაბულობა, [ვ/მ];

ϵ - ფარდობითი დიელექტრიკული შეგწვეადობა;


β პარამეტრია, რომელიც განსაზღვრავს დატვირთვის სიჩქარეს.

t ნაწილაკის ელექტრულ ველში ყოფნის დრო, [წმ].

ნაწილაკზე მოქმედი მექანიკური ძალა, როცა ის წარმოადგენს თავისუფლად ეარდნილ სხეულს, გამოიხატება განტოლებით:

$$P=mg \quad [6];$$

სადაც: m -სხეულის მასაა კგ;
 g -სიმძიმის ძალის აჩქარება მ/წმ².



ნახ.1. 17.

სურ. 1.17.-ზე მოცემულია ბუნკერის [1], როგორც უარყოფით ელექტროდსა და დადებით ელექტროდს შორის მყოფ ნაწილაკზე ელექტრული და მექანიკური ძალების მოქმედების სქემა. კოორდინატთა სისტემის Z ღერძად მიღებულია უარყოფითი ელექტროდის თანმთხვეული ვერტიკალური მიმართულება, X

დერძად კი ელექტროდების შემაერთებელი ხაზი. 01 ნაწილაკების საწყისი ტრექტორიის წერტილია. P_1 და P_2 პირველი და ბოლო ნაწილაკების თავისუფალი ვარდნის ძალაა. F_1 და F_2 ველის ძალაა, რომელიც მოქმედებს პირველ და ბოლო ნაწილაკებზე. α_1 და α_2 ნაწილაკების მიერ განვლილი გზაა ვერტიკალურ სიბრტყეში, ℓ - მანძილი დახარისხებულ ნაწილაკებს შორის.

თავისუფლად ვარდნის შემთხვევაში ნაწილაკის მოძრაობა ვერტიკალური მიმართულებით $/Z$ დერძის გასწვრივ დროის მიხედვით გამოისახება განტოლებით:

$$Z = \frac{gt^2}{2} \quad \text{მ}; \quad (35)$$

ნაწილაკის გადაადგილება დერძის მიმართულებით დამოკიდებულია ელექტრულ ძალაზე

$$F_1 = m \frac{d^2 X}{dt^2} = (1 + 2 \frac{\epsilon - 1}{\epsilon + 2})^2 r_0 \frac{\beta t}{1 + \beta t} \quad [6]; \quad (36)$$

მე-36 განტოლების ამოხსნის შედეგად მივიღებთ

$$x = \frac{1}{m} [(1 + 2 \frac{\epsilon - 1}{\epsilon + 2}) E^2 r_0^2 (\frac{t^2}{2} + t) - (\frac{t}{\beta} + \frac{1}{\beta^2}) \ln(1 + \beta t) + \frac{t}{\beta}] + A_0$$

[მ]; (37)

სადაც A წარმოადგენს ნაწილაკის მოძრაობის საწყისი წერტილის დაშორებას უარყოფითი ელექტროდიდან.

მე-35 და მე-37 განტოლებები გვაძლევენ მაღალი ძაბვის ელექტრულ ველში ნაწილაკის მოძრაობის ტრექტორიას.

მე-37 განტოლებაში m წარმოადგენს სათესლე ნაწილაკის მასას. რადგანაც მიღებული გვაქვს, რომ ნაწილაკს აქვს სფერული ფორმა, m შეგვიძლია შევცვალოთ გამოსახულებით

$$m = \frac{4}{3} \pi r_0^3 \gamma \quad [\text{კგ}] \quad (38)$$

სადაც γ - ნაწილაკის კუთრი წონაა. ჩავსვათ რა ამ მნიშვნელობას მე-37 განტოლებაში, გვექნება:

$$x = A + \frac{3}{8} \cdot \frac{1 + 2 \frac{\epsilon - 1}{\epsilon + 2}}{\pi r_0 \gamma} E^2 [\frac{t^2}{2} + t - (\frac{t}{\beta} + \frac{1}{\beta}) \ln(1 + \beta t) \cdot \frac{t}{\beta}] \quad [მ]; \quad (39)$$

მე-39 განტოლებიდან ჩანს, ნაწილაკის მოძრაობა დადებითი ელექტროდისაკენ ელექტრული ველის დაძაბულობის სიდიდესთან ერთად დამოკიდებულია თვით თესლის ნაწილაკის ელექტროფიზიკურ r, γ, l თვისებებზე.

ელექტრულ ველში თესლის მარცვალზე მოქმედებს შემდეგი ძალები:

კულონის ძალა $F_1 = EQ$ [6]

სიმძიმის ძალა $P = m g$ [6]

ელექტროსტატიკური ძალა f , რომელიც დაკავშირებულია ელექტრული ველის არაერთგვაროვნებასთან, ქაერის წინააღმდეგობის და ელექტრული ქარის ძალა.

ელექტრულ ველში თესლის დახარისხების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირველ ორ ძალას, ხოლო სხვა ძალები თავს მხოლოდ უმნიშვნელოდ იხევენ.

ელექტრული დახარისხების პროცესში ელექტროსტატიკური ძალის შემოქმედება გამოისახება შემდეგი მნიშვნელობით [26].

$$|f| = \left| \frac{dW}{dx} \right| \cdot T^1 \quad (40)$$

სადაც W -თესლის მარცვლების ელექტროსტატიკური ენერჯიაა.

როგორც ელექტროსტატიკიდან ცნობილია ელიფსოიდალური ფორმის ნაწილაკის შემთხვევაში დაძაბულობა [19]

$$E_0^1 = \frac{E_0 \epsilon_6}{1 + (\epsilon_6 - 1) \varphi} \quad [\varphi/\text{მ}], \quad (41)$$

სადაც ϵ_6 - დიელექტრიკის ფარდობითი დიელექტრიკული

შელწვეადობაა;

E_0 - რეზულციური ველის დაძაბულობა დიელექტრიკის შიგნით $[\varphi/\text{მ}]$;

E_0^1 - თავისუფალი სივრცის ველის დაძაბულობა $[\varphi/\text{მ}]$.

ძ-დერძის პოლარიზაციის კოეფიციენტი.

ფ-დერძის პოლარიზაციის კოეფიციენტი.
 მრგვალი თესლის ენერჯია შეიძლება გამოითვალოს
 ფორმულით:

$$W_{მრ.თ} = \frac{\epsilon_0 E^2}{2} \cdot r^3 \quad [ე^2მ] \quad (42)$$

ხოლო წაგრძელებული თესლისათვის ტოლი იქნება

$$W_{გრ.თ} = \frac{1}{48} \cdot \frac{\epsilon_0 E^2}{\phi} ab^2 \quad [ე^2მ] \quad (43)$$

მიღებული მნიშვნელობების საფუძველზე შეგვიძლია
 გამოვთვალოთ მრგვალი თესლის ელექტრული ძალის სიდიდე

$$|f|_{მრ.თ} = \left| \frac{dw_{მრ.თ}}{dx} \right| = \epsilon_0 E \frac{dE}{dx} r^3 \quad [6] \quad (44)$$

წაგრძელებული ფორმის თესლისათვის

$$|f|_{წაგრ.თ} = \frac{1}{24} \epsilon_0 E \frac{dE}{dx} \cdot \frac{ab^2}{\phi} \quad [6] \quad (45)$$

მრგვალი ფორმის თესლისათვის კულონის ძალის
 მნიშვნელობა შემდეგნაირად გამოისახება

$$F_{მრ.თ} = \epsilon_0 E^2 r^2 \left(1 + 2 \frac{\epsilon - 1}{\epsilon + 2} \right) \quad [6], \quad (46)$$

როცა $\epsilon \rightarrow \infty$

$$F_{მრ.თ} = 3 \epsilon_0 E^2 r^2 \quad [6] \quad (47)$$

როცა $\epsilon \rightarrow \infty$ წაგრძელებული ფორმის თესლისათვის

$$F_{წაგრ.თ} = \epsilon_0 E \frac{b^2}{4\phi} \quad [6] \quad (48)$$

მრგვალი ფორმის თესლის ელექტროსტატიკური ძალის
 ფარდობა კულონის ძალასთან მოგვცემს შემდეგ
 დამოკიდებულებას.

$$\frac{f}{F} \Big|_{მრ.თ} = \frac{1}{3} \frac{dE}{dx} \frac{r}{E} \quad (49)$$

ხოლო ელიფსოიდალური თესლისათვის

$$\frac{f}{F} / \text{ჯლ} = \frac{1}{6} \frac{dE}{dx} \frac{b}{E} \quad (50)$$

მიღებული განტოლებები საშუალებას გვაძლევენ განისაზღვროს ელექტროსტატიკურ ველში სფერული და ელიფსოიდალური ფორმის თესლის მარცვლებზე მოქმედი კულონისა და ელექტროსტატიკური ძალების მნიშვნელობები. ელექტრულ ველში დახარისხების ეფექტურობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათი შეფარდების სიდიდეს. ამ მნიშვნელობის მიხედვით საჭიროა დადგინდეს ელექტრულ ველში თესლის მიწოდების ადგილი: ეს ადგილი უნდა შეირჩეს იმისდამიხედვით, რომ თესლის მარცვლებზე მოქმედი ელექტროსტატიკური ძალის მნიშვნელობა იყოს მინიმალური, რადგანაც ამ ძალის მიმართულება არის კულონის ძალის მიმართულების საწინააღმდეგო და იგი ხელს უშლის მიმღები ბუნკერისაკენ გადახრაში.

იმის გამო, რომ ბოსტნეული კულტურების ზოგიერთ თესლს აქვს სფეროსაგან განსხვავებული ფორმა, კერძოდ ხასიათდება წაგრძელებული ფორმით /კიტრი, სტაფილო და სხვ/ საინტერესოა გავანალიზოთ რა ზემოქმედებას ახდენს ელექტროსტატიკური ველი თესლის იმ მარცვალზე, რომლის ფორმაც მკვეთრად განსხვავდება სფეროსაგან. ამისათვის

საჭიროა განვსაზღვროთ $\frac{f}{F}$ -ის შეფარდების მნიშვნელობა სფერული მარცვლისა და მისი ტოლფასი მოცულობის ელიფსოიდური ფორმის მარცვლის შემთხვევებისათვის.

მრგვალი და წაგრძელებული ფორმის თესლისათვის მოცულობების ტოლობა შემდეგნაირად გამოისახება

$$\alpha = \frac{2r}{\sqrt[3]{k^2}} \quad (51)$$

სადაც k - სფერულობის კოეფიციენტი და $k = \frac{b}{a}$

a-თესლის მარცვლის დიდი დერძის სიგრძეა მ-ში;

b-თესლის მარცვლის პატარა დერძის სიგრძეა მ-ში;

48-ე ფორმულის თანახმად

$$\left| \frac{f}{F} \right|_{\text{ვაგროს}} = \frac{1}{3} \frac{dE}{dx} \frac{r\sqrt{k}}{E} \quad (52)$$

ხოლო ფარდობა

$$\alpha_k = \left| \frac{f}{F} \right|_{\text{ვაგროს}} / \left| \frac{f}{F} \right|_{\text{პროს}} = \frac{1}{\sqrt[3]{k^2}} = \frac{1}{\phi_k} \quad (53)$$

სადაც α_k - ელექტროსტატიკური ძალის ჯერადი სიდიდეა, რომელიც მოქმედებს ელიფსური ფორმის ნაწილაკზე;

გრძელი და მრგვალი ნაწილაკების მოცულობები პირობითად შემდეგნაირად გამოისახება:

$$r_{\text{ექვ}} = \frac{\sqrt[3]{ab}}{2} = \frac{a\sqrt[3]{k}}{2} \quad (54)$$

$$a = \frac{2r}{\sqrt[3]{k}} \quad (55)$$


ამ შემთხვევაში 47-ე განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\left| \frac{f}{F} \right|_{\text{ელ.ს}} = \left| \frac{f}{F} \right|_{\text{პროს}} = \frac{1}{\sqrt[3]{k}} = \frac{1}{\phi} \quad (56)$$

ხოლო ფარდობა

$$t \cdot 10^3 \text{ წმ} \quad \alpha_k = \left| \frac{f}{E} \right|_{\text{ელ.ს}} / \left| \frac{f}{E} \right|_{\text{პროს}} = \frac{1}{\sqrt[3]{k}} = \frac{1}{\phi} \quad (57)$$

მიღებული ფორმულის საფუძველზე ვაგებთ გრაფიკს.



ნახ. 1.18

როგორც დიაგრამიდან ჩანს ელექტროსტატიკური ძალები, რომლებიც მოქმედებენ ელიფსური ფორმის თესლზე უფრო დიდია, ვიდრე მრგვალი ფორმის თესლის მარცვალზე. იმის გამო, რომ მეტი წილი კულტურის თესლისათვის $k > 0,2$, ამიტომ ელექტროსტატიკური ძალა ბევრად ნაკლებია კულონის ძალაზე და დახარისხების პროცესზე რაიმე გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ ახდენს, მაგრამ წაგრძელებული ფორმის თესლის დახარისხების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული [4].

თავი 2. თესლის დახარისხების ექსპერიმენტული გამოკვლევის მეთოდობა, ექსპერიმენტების შედეგები და მათი ანალიზი

2.1. ელექტრომაგნიტური და ელექტრომექანიკური ვიბრაციული დანადგარებით სათესლე მასალის დახარისხების ექსპერიმენტალური გამოკვლევა

ბოსტნეული კულტურების თესლის დახარისხება ელექტრომაგნიტური ვიბრაციის მეთოდით ხდებოდა ექსპერიმენტალური ელექტრომაგნიტური ვიბრაციული დანადგარის საშუალებით, რომელიც გამოსახულია სურ. 1.1.

დახარისხების მაღალი ეფექტის მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც დანადგარისა და დახარისხების ყოველი პარამეტრი ზუსტად არის დადგენილი და შერჩეული.

ელექტრომაგნიტური ვიბრაციული დანადგარით დახარისხების პროცესის გამოკვლევისა და თითოეული კულტურის თესლისათვის დახარისხების ოპტიმალური რეჟიმების დადგენის მიზნით შესწავლილი იქნა როგორც დახარისხების პროცესი, ისე თვით დანადგარის მუშაობის პირობები.

ექსპერიმენტები ტარდებოდა სამი სახის ბოსტნეული კულტურების: ხახვის, სუფრის ჭარხლის, ისპანახის თესლებზე. ექსპერიმენტების ჩატარების ძირითად ფაქტორებად მიღებული იყო ვიბრობუნკერის რხევის ამპლიტუდა და დახარისხების ტერმინის ხანგრძლივობა. დახარისხების სიხშირის პირობებში.

ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ამპლიტუდის ოპტიმალური მნიშვნელობის შერჩევა.

ცდებმა გვიჩვენა, რომ ვიბროსეპარაციის შედარებით მაღალი ეფექტი მიიღება დაბალი ამპლიტუდის შემთხვევაში. ეს იმით აიხსნება, რომ დაბალი ამპლიტუდის დროს თესლის მარცვლების გადაადგილების სიჩქარე უფრო მცირეა, ვიდრე შედარებით მაღალი ამპლიტუდის დროს და მათი ბუნკერის ბადის ხერხელებში მოხვედრის ალბათობაც უფრო მეტია [66,54].

ხახვის თესლის ელექტრომაგნიტური ვიბრაციული დახარისხების დროს ექსპერიმენტისათვის აღებული იყო თალგამისებრი ჯიშის ხახვის სათესლე მასალა, რომლის

აღმოცენების უნარიანობა შეადგენდა 68%-ს.

ექსპერიმენტების ძირითად ფაქტორებად მიღებული იყო ვიბრობუნკერის რხევის ამპლიტუდა და t დრო, რომლის განმავლობაშიც შესაბამის ყუთში მიიღებოდა დახარისხებული თესლის გარკვეული პროცენტული რაოდენობა. დანადგარის რეზონანსულ რეჟიმში მუშაობისათვის წონის შენარჩუნების მიზნით ამგზნებ ბუნკერში (აქტიური მასა 2,2კგ.) დასახარისხებელ სათესლე მასალასთან (5 კგ.) ერთად თავსდებოდა სამძიმი მასის ტვირთი (7,8 კგ). მერხევი სისტემის აქტიური მასა შეადგენდა 15 კგ-ს.


დანადგარის რეზონანსული გაწყობისას ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე შეირჩა რხევის ამპლიტუდის საწყისი - $A=4,5$ მმ და საბოლოო $A=2,9$ მმ (ბუნკერიდან თესლის ჩამოცლის მომენტი) მნიშვნელობები. დრეკადი სისტემის (რესორების) შერჩევასთან მიმართებაში ყველა სახის ბოსტნეული კულტურების სათესლე მასალის დახარისხებისას რხევის ამპლიტუდის მნიშვნელობები მუდმივ სიდიდეებს წარმოადგენდა.

დახარისხების პროცესის მიმდინარეობა (მრუდის მთლიანი ნაწილი) ნათლად ჩანს ამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებელი მრუდის (სურ. 2.1) ანალიზიდან. დახარისხება იწყება რეზონანსის შემდგომ (რეზონანსთან მიახლოებულ) პერიოდში და ვიბრობუნკერის აქტიური მასის შემცირებით (15-5)კგ მისი რხევის ამპლიტუდა მცირდება. ვიბრაციული დახარისხების პროცესი მიმდინარეობს სამ ფრაქციად, რომლის დროსაც გამოიყოფა:

I ფრაქცია - დიდი ზომის მინარევეები.

II ფრაქცია - მცირე ზომის მინარევეები.

III ფრაქცია - დახარისხებული თესლი + ფშუტე მარცვლები.



სურ.2.1. ვიბრაციული ბუნკერის ამპლიტუდურ-სიხშირული მახასიათებელი.


ექსპერიმენტები ჩატარდა ცდების 4-ჯერადი განმეორებით, რომლის მონაცემები მოცემულია ცხრილ 2.1-ში და 2.2-ში.

ხახვის ერთი და იგივე მასის (5 კგ.), სხვადასხვა მინარევების შემცველობის მქონე (სისუფთავე) სათესლე მასალის დახარისხების ხანგრძლივობა ბუნკერიდან თესლის ჩამოცლის დრო) ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მცირე სიდიდებით.

სურ.2.2.-ზე გამოსახულია ოთხი სხვადასხვა ხარისხის სისუფთავეს— 55%, 58,5% 61,55% და 65% სათესლე მასალის დახარისხებისას ვიბრობუნკერის რხევის ამპლიტუდასა და t დროის ხანგრძლივობას შორის დამოკიდებულობის მრუდები.

ხახვის სათესლე მასალის დახარისხების დროის ხანგრძლივობად მიღებულია ჩატარებული ცდების შედეგად

დაფიქსირებული დახარისხების საშუალო დროსაშ. = $0,22 \cdot 10^3$ წმ, რომლის დროსაც დახარისხების პროცესი გრაფიკულ გამოსახულებაზე აღნიშნულია მთლიანი მრუდით; ამ შემთხვევაში შესაბამის მიღებ ყუთში მოთავსდა მაქსიმალურ პროცენტული რაოდენობის—86,5% და მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების მქონე თესლი.



სურ. 2.2. ვიბრობუნკერის რხევის ამპლიტუდურ- დროის მახასიათებელი მრუდები ხახვის თესლის დახარისხებისას.

1 - 55%; 2 - 58,5%; 3 - 61,5%; 4 - 65%.

